ხელშეკრულება №245
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ქობულეთი **22 დეკემბერი 2016 წელი**

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მედეა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანუჩარ ინაიშვილი სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10′ მუხლის, მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის (SMP160003415, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 დეკემბრის N3682 განკარგულება) საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, ეპილეფსიის საწინააღმდეგო მედიკამენტების შესყიდვა (შემდგომში „საქონელი“) (CPV 33661300 - ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებები).

2.2 შესყიდვის ობიექტის ზუსტი დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1-ში), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება 2811.55 (ორიათასრვაას თერთმეტი ლარი და ორმოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

4.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული ფასების ცხრილისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი პირის მიმართვის შესაბამისად, მოწოდებული მედიკამენტების საფუძველზე.

5.2 მიღება ჩაბარებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, რომელიც აფორმებს შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

5.3 საქონლის მიწოდების პროცესში მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი ხარვეზების შესახებ, შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ქალაქ ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №121ა-ში მდებარე

„მედეა“-ს აფთიაქიდან, სადაც სასაქონლო ზედნადებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება.

6.2 მედიკამენტების გაცემა უნდა იწარმოოს ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი პირის მიმართვის შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მედიკამენტების გაცემა განხორციელოს მოთხოვნისთანავე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე;

ბ) შეუფერხებლად მიაწოდოს მედიკამენტები წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, მუნიციპალიტეტის გამგეობის უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად, თანახმად ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-სა.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე.

8.3. მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებამდე გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,1% პროცენტის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი გადააცილების ანგარიშსწორების ვადებს მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვის და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული

შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. „შემსყიდველი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

14.1 „შემსყიდველი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;

14.2 „შემსყიდველი"–ს საიდენტიფიკაციო კოდი **247001890**;

14.3 „შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი.

15. „მიმწოდებელი"–ს იურიდიული მისამართი და რეკვიზიტები

15.1 „მიმწოდებელი"–ს მისამართი: ქ. ქობულეთი, სოფ. ხუცუბანი;

15.2 „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „თი ბი სი ბანკი", ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE08TB7048636020100013, საიდენტიფიკაციო კოდი 446960815;

15.3 „მიმწოდებელი"– შპს „მედეა"

„შემსყიდველი" – ქობულეთის მუნიციპალიტეტი,
გამგებელი

ხუციშვილ ევგენიძე

„მიმწოდებელი" – შპს „მედეა"

დირექტორი

მანუჩარ ინაიშვილი

დანართი 1

ფასების ცხრილი

N	მედიკამენტის დასახელება	რაოდენობა	ერთეული ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ვალპროის მჟ. (ენტერიკი) 300 მგ.	300	0,39	117
2	ვალპროის მჟ. 300 მგ.	200	0,2	40
3	ვალპროის მჟ. 500 მგ.	1200	0,34	408
4	ვალპროის მჟ. სიროფი8,65/150ml	4	14	56
5	კარბამაზეპინი 200მგ	900	0,076	68,4
6	კარბამაზეპინი 400მგ	150	0,3	45
7	ლევეტირაცეტამი 500 მგ.	1100	1,4	1540
8	ლამოტრიჯინი 25 mg.	210	0,385	80,85
9	ლამოტრიჯინი 100 mg.	390	1,17	456,3
	ს უ ლ			2811,55

შპს "მედეა"-ს დირექტორი: მანუჩარ ინაიშვილი

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080105182546116

 # 3682

21 / დეკემბერი / 2016 წ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 16 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის SMP160003415 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს ეპილეფსიის საწინააღმდეგო მედიკამენტების (CPV-33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ქობულეთის მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროექტს, რომლის ფარგლებშიც ეპილეფსიით დაავადებული ბენეფიციარები ყოველდღიურად იღებენ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მედიკამენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული წამლების მარაგი ამოწურულია, ხოლო 2016 წლის 6 ნოემბერს გამოცხადებული NAT160003175 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ და 2016 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებული NAT160004550 ტენდერი მიმდინარე რეჟიმშია, აუცილებელია გარკვეული რაოდენობის მედიკამენტების დაუყოვნებლივ შესყიდვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბენეფიციარები დარჩებიან მკურნალობის გარეშე. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამით მოსარგებლეების ძირითადი ნაწილი განიცდიან მწვავე სოციალურ სიდუხჭირეს, რის გამოც ვერ შეძლებენ წამლების საკუთარი სახსრებით შესყიდვას, ხოლო მათი მიღება დაავადებული ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ ბენეფიციარების სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას, აუცილებელია ტენდერის დასრულებამდე წამლების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ეპილეფსიით დაავადებულთა მკურნალობის პროგრამის ფარგლებში გასაცემი წამლების მარაგი ამოიწურა, ხოლო 2016 წლის 6 ნოემბერს გამოცხადებული NAT160003175 ტენდერი დასრულდა უშედეგოდ და 2016 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებული NAT160004550 ტენდერი მიმდინარე რეჟიმშია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რომ ბენეფიციარების ძირითადი ნაწილი განიცდიან მწვავე სოციალურ სიდუხჭირეს, რის გამოც ვერ შეძლებენ წამლების საკუთარი სახსრებით შესყიდვას, ხოლო მათი მიღება დაავადებული ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ბენეფიციარების სიცოცხლეს საფრთხე არ შეექმნას, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ტენდერის დასრულებამდე და გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებამდე საჭირო რაოდენობის მედიკამენტების შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის SMP160003415 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.ქობულეთი

22 დეკემბერი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამის" ფარგლებში, ეპილეფსიის საწინააღმდეგო მედიკამენტების (CPV33661300 - ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებები) შესყიდვის განხორციელებაში, შპს „მედეა“-ს მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გამგებელი სულხან ევგენიძე